საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-653

09/08/2018

ქ. თბილისი

ჭიათურის მუნიციპალიტეტში, შპს „ნაგუთი 2014“ სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავების (მანგანუმის მადნის გამდიდრების) საწარმოს ახალი ტექნოლოგიური ხაზის (წარმადობის გაზრდა) მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის, ამავე კოდექსის II დანართის მე-5 პუნქტის 5.1 ნაწილის, მე-5 მუხლის მე-12 პუნქტის და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" (07.12.2017 #1620-რს) საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. გაიცეს ჭიათურის მუნიციპალიტეტში შპს „ნაგუთი 2015“ სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავების (მანგანუმის მადნის გამდიდრების) საწარმოს ახალი ტექნოლოგიური ხაზის (წარმადობის გაზრდა) მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნა #25; 26.07.2018.წ
2. შპს „ნაგუთი 2014“ ვალდებულია გზშ-ს ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს #25; 26.07.2018.წ სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს“ნაგუთი 2014ს“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ნაგუთი 2014ის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ჭიათურის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი